**გლობალური სტაჟირების პროგრამა**

Şişecam- ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თურქული საწარმოა მსოფლიოში, რომელიც გლობალური მოთამაშეა მინის საწარმოს ისეთ ბიზნეს მიმართულებებში, როგორიცაა ბრტყელი მინა, მინის ჭურჭელი, მინის შეფუთვა, საავტომობილო მინა და მინის ბოჭკოვანა, ასევე სოდა და ქრომის ქიმიკატების მოპოვება. Şişecam მინის შეფუთვებისა და ბრტყელი მინის წარმოებაში მსოფლიოს მასშტაბით ხუთეულშია, სოდის წარმოებაში - მერვე ადგილი უკავია, ხოლო ქრომის ნაერთების წარმოებაში ლიდერია.

Şişecam წარმოდგენილია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: თურქეთი, საქართველო, გერმანია, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ეგვიპტე, ინდოეთი და აშშ.

კომპანია საერთაშორისო მასშტაბის ოპერირებითა და თავისი 85 წლიანი გამოცდილებით 24,000 თანამშრომელს აერთიანებს. მისი საწარმოო საქმიანობა მოიცავს 14 ქვეყანას ოთხ კონტინენტზე და გაყიდვებს 150 ქვეყანაში. Şişecam მიისწრაფვის გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო გლობალური მწარმოებელი თავისი ყველა ძირითადი ბიზნეს ხაზის მიმართულებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ : https://www.sisecam.com

**გახდი ჩვენი გლობალური სტაჟირების პროგრამის "ერთად" მონაწილე და მიიღებ შემდეგი სახის უნიკალურ გამოცდილებას** :

- განავითარებ უნარებს გლობალური კარიერული გზის მოსამზადებლად ინდუსტრიულ კომპანიაში;
- გააუმჯობესებ ძლიერ მხარეებს და ამავდროულად განავითარებ ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა გუნდურობა, კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა და ა.შ.;
- იმუშავებთ რეალურ პოზიციაზე რეალური პასუხისმგებლობებით.

**პროგრამის ბენეფიციარები არიან :**

- ბაკალავრიატის მე-3 ან მე-4 კურსის სტუდენტები;
- მაგისტრატურის სტუდენტები;
- ახალი კურსდამთავრებულები.

**კვალიფიკაცია და პიროვნული უნარები :**

- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
- MS Office პროგრამების ცოდნა;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- სიახლეებიისადმი ღიაობა და მიმღებლობა;
- გუნდურად მუშაობის უნარი;
- გამოწვევებისათვის მზადყოფნა.

**სტაჟირების პროგრამის პირობები :**

- სტაჟირების პერიოდი 7-12 თვე;
- კვირაში სამი სამუშაო დღე (შეთანხმებისამებრ);
- სამუშაო დრო: 08:00-17:00 სთ;
- სამუშაო მისამართი: სოფელი ქსანი (35 კმ თბილისიდან);
- ტრანსპორტირება უზრუნველყოფილია;
- სრულფასოვანი კვება უზრუნველყოფილია;
- **სტაჟირება ანაზღაურებადია.**

დაინტერესებულმა კანდიდატებმა გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ რეზიუმე მითითებულ მისამართზე: tbuachidze@sisecam.com